ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2

ქ. ახალქალაქი 3 იანვარი 2013 წ

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ წარმოდგენილი შპს „მაგთიკომი“-ს ქ. ახალქალაქის რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების №17 ოფისის ზედამხედველის პაატა მღებრიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას მიერ 2013 წლის 3 იანვარს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შემდგომში – *გამყიდველი*, ერთი მხრივ და ნინოწმინდის საზ ჯანდაცვის ცენტრი წარმოდგენილი მისი დირექტორის ტიგრან ეგოიანის სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 *გამყიდველი* ყიდის, ხოლო *მყიდველი* ყიდულობს 720 ლარის ღირებულების მონო ბარათებს , შემდგომში – ”ბარათები”.

1.2 ბარათების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს *გამყიდველს* ბარათების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.1.2 თანხის გადარიცხვისას მიაწოდოს ინფორმაცია *გამყიდველს* ბარათების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 - ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, *მყიდველის* მოთხოვნისთანავე გადასცეს *მყიდველს* შეძენილი ბარათები და ანგარიშ-ფაქტურა.

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.